პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 9 (6320) 13 იანვარი 1979 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშების დაწყებამდე დარჩა 553 დღე

## მეექვსე სტარტი...

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე

დღეს ბაკურიანში იწყება ტრადიციული VI საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე.

ამ ორდღიან ასპარეზობაში, რომლის მთავარი მსაჯია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძე, გამოვა სსრ კავშირის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ფინეთის, ნორვეგიის 52 „მფრინავი მოთხილამურე". ასპარეზობა ბაკურიანის საშუალო (70-მეტრიან) და დიდ (90-მეტრიან) ტრამპლინზე გაიმართება დღის 12 საათიდან.

მთავარი პრიზების გარდა, გამარჯვებულთათვის დაწესებულია რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების სპეციალური ჯილდოები, მათ შორის „ლელოს" პრიზიც, რომელიც ყველაზე დიდი ნახტომის ავტორისთვის არის განკუთვნილი.

ეს ტრადიციული შეჯიბრება ბაკურიანში პირველად 8 წლის წინათ — 1971 წლის 17 იანვარს გაიმართა. მხტომელები (სტარტზე 6 ქვეყნის 44 წარმომადგენელი გამოვიდა) 90-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობდნენ. მაშინ შესანიშნავად იასპარეზა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრმა, პერმის პედაგოგიური ინსტიტუტის მეორეკურსელმა ს. ზონტოვმა, რომელიც ამ ტურნირის პირველი ჩემპიონი გახდა — 244,5 ქულა (ხტომები 104 და 115,5 მეტრზე). აღსანიშნავია, რომ ამ 18 წლის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგი (115,5 მეტრი) დღესაც ბაკურიანის დიდი ტრამპლინის რეკორდად ითვლება. მეორე ადგილზე გამოვიდა გამოცდილი ლენინგრადელი მხტომელი ი. კალინინი — 241,5 (104 და 108), მესამეზე — ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია) — 232,5 (102,5 და 103).

მომდევნო, 1972 წლის ასპარეზობაში მონაწილე 48 მხტომელს შორის ბადალი არ ჰყავდა ბაკურიანელ კ. წაქაძეს. იგი 103 და 102 მეტრზე გადახტა და 233,3 ქულით პირველობა მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ლენინგრადელი ა. ჟეგლანოვი — 226,9 (101 და 100,5) და გორკელი მ. ვერეტენიკოვი — 222,4 (100 და 101,5).

8 ქვეყნის 50 მხტომელი გამოვიდა 1973 წლის შეჯიბრების სტარტზე. ასპარეზობა პირველად ორ ტრამპლინზე ჩატარდა: 70-მეტრიან ტრამპლინზე გაიმარჯვა მოსკოველმა ს. ბოჩკოვმა — 216,2 (75 და 74,5), ხოლო 90-მეტრიანზე — კვლავ კ. წაქაძემ — 234 (105,5 და 102,5). შეჯიბრების პრიზიორები გახდნენ: საშუალო ტრამპლინზე — კ. წაქაძე — 214,6 (76 და 74,5) და ა. ლიდაკი (ჩეხოსლოვაკია) — 212,1 (74,5 და 76), დიდ ტრამპლინზე — ფინელი ე. რაუტიონაჰო — 226,5 (104,5 და 97,5) და ლენინგრადელი ბ. გოლოსოვი — 225,5 (107,5 და 95,5).

1975 წელს ორივე ტრამპლინზე უძლიერესი იყო კიროველი სტუდენტი ა. ბოროვიტინი — 241,4 (85,5 და 82) და 240,6 (106 და 107). საშუალო ტრამპლინზე პრიზიორები გახდნენ გორკელი გ. ნაპალკოვი — 235,9 (82,5 და 80) და ფინელი ს. ჰიუვენენი — 233,1 (84 და 78), ხოლო დიდ ტრამპლინზე — გორკელები ს. სუსლიკოვი — 239,8 (105,5 და 104,5) და გ. ნაპალკოვი — 216,4 (97 და 102).

უკანასკნელ, 1977 წლის (15-16 იანვარი) ასპარეზობაში კვლავ ისახელა თავი ა. ბოროვიტინმა. 70-მეტრიან ტრამპლინზე მან გაიმარჯვა 257,6 ქულით (87 და 87,5), ხოლო 90-მეტრიანზე — 260,9 ქულით (ორივეჯერ 110,5 მეტრი). აი ვინ იყვნენ ამ შეჯიბრების პრიზიორები: ი. ტხომახი (გდრ) — 234,9 (81,5 და 83,5) და ი. კალინინი — 232,6 (81,5 და 80,5), ჩეხოსლოვაკიელი ე. ბობიში — 238,9 (106 და 105) და პეტროზავოდსკელი ი. ივანოვი — 238,5 (104 და 108,5).

დაველოდოთ რას მოგვიტანს მეექვსე სტარტი, რომელშიც 16 უცხოელი მოთხილამურე მონაწილეობს. ისინი საბჭოთა სპორტსმენებთან, რომელთა ლიდერები — გორკელი ა. ბოროვიტინი, პეტროზავოდსკელი ი. ივანოვი, ლენინგრადელები ს. საიჩიკი და ვ. ვლასოვი ბაკურიანს პირდაპირ ოთხი ტრამპლინის ტრადიციული ტურნედან ეწვივნენ, იბრძოლებენ მთავარი ჯილდოსთვის, ამჯერად მასპინძლების სპორტული ინტერესების დასაცავად გამოდის ბაკურიანელი ბ. ზანგიევი.

გუშინ ორივე ტრამპლინზე საცდელი ხტომები ჩატარდა. მზიანი დარი და მონაწილეთა განწყობა იმის გარანტიას იძლევა, რომ ასპარეზობა საინტერესო იქნება.

ო. ნოზაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).



მოსკოვში, ზუბოვსკის მოედანზე შენდება „ოლიმპიადა-80"-ის მთავარი პრეს-ცენტრის შენობა. პრესის სახლში ყველა პირობაა შექმნილი ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მთელ მსოფლიოს მოუთხრობენ ოლიმპიურ თამაშებზე.

საკდესის ფოტო.

## ტალინში „ცხელა"

მიუხედავად ზამთრისა, ტალინში „ცხელა": საფუძველი ეყრება XXII ოლიმპიური თამაშების აფროსანთა რეგატის წარმატებით ჩატარებას. ინტენსიური მუშაობაა მიმდინარე პირიტის შესართავთან, სადაც ოლიმპიური ნავსაყუდელი შენდება. დასასრულს უახლოვდება საფროსნო სპორტის ცენტრისა და იახტსმენებისთვის სასტუმროს კორპუსების მონტაჟი. იქვე ახლოს 314 მეტრის სიმაღლეზე მოჩანს ელექტრომეიდულების შედეგად წარმოქმნილი ნაპერწკლები — მესიმაღლეები უკანასკნელ სამუშაოებს ამთავრებენ და ადგილს დაუთმობენ იმათ, ვინც გაუძღვება სატელევიზიო კოშკის მოწყობილობის მონტაჟს.

— საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის ყველა ობიექტი ვადაზე ჩაბარდება, — თქვა „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ტალინის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ურმო კალამ. — წლეულს მწყობრში ჩადგება საფროსნო სპორტის ცენტრი. ამ ზაფხულს იგი მიიღებს XXXI საერთაშორისო აფროსანთა რეგატისა და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის მონაწილეებს. ოლიმპიური სოფლის შენობებში მომპირკეთებლები შრომობენ.

არა მარტო სპორტულ ნაგებობაზე მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა — ოლიმპიურ აფროსანთა რეგატისთვის მთელი ტალინი ემზადება. ესტონეთის დედაქალაქში ზოგი სტუმარი ზღვით ჩამოვა. მათ ახალი საზღვაო სამგზავრო სადგური და რეკონსტრუირებული ნავმისადგომები მიიღებს. იზრდება აეროსადგურის კომპლექსის კორპუსები.

ოთხჯერ გადიდდება ტელეტაიპის ცენტრის სიმძლავრე. შეჯიბრების მიმდინარეობის გადაცემას დაეხმარება, აგრეთვე, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, რომელსაც ექნება სხვა ქალაქებში ავტომატურად შესაერთებელი არხი. კეთდება დამატებითი კაბელები, რომლებიც პრეს-ცენტრს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო ქსელთან დააკავშირებს.

ესტონეთის დედაქალაქი დიდი სპორტული ზეიმისთვის ემზადება. უძველეს შენობებში იხსნება კაფეები და ბარები, სუვენირების მაღაზიები.

ოლიმპიური რეგატის დასაწყისისთვის გაიხსნება ახალი რესტორნები და სავაჭრო ცენტრები. პირიტზე შენდება პლიაჟის კომპლექსი რესტორნებითა და ბარებით, კეთდება ოლიმპიური გზატკეცილი, უკვე მწყობრში ჩადგა ახალი ხიდი.

— ოლიმპიადისთვის, — განაგრძო უ. კალამ, — დამატებით მომზადდება 7500 მზარეული, ოფიციანტი, გამყიდველი, გიდი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლი და სხვ. შედგა სპეციალურად მომზადებული მომსახურე პერსონალის პირველი გამოშვება. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო და უწყება, მათ შორის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა. გიდების, თარჯიმნებისა და საინფორმაციო სამსახურის მუშაკთა უმრავლესობა სტუდენტები იქნებიან. ესტონეთის სსრ კულტურის სამინისტროში შემუშავებულია კონცერტების, გამოფენებისა და ფესტივალების პროგრამა, რომლებიც რეგატის დღეებში ჩატარდება. გამომცემლობები მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოუშვებენ ალბომებს, ბუკლეტებსა და გზის მაჩვენებლებს, რომლებითაც სტუმრები გაეცნობიან ესტონეთს, მის დედაქალაქს, რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებას.

ოლიმპიურ აფროსანთა რეგატისთვის მზადების მიმდინარეობის გასაცნობად ტალინს ეწვივნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბევრი წევრი, რიგი ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური ორგანიზაციებისა და საფროსნო სპორტის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელები. ყველა მათ მაღალი შეფასება მისცეს გაკეთებულს. მაგრამ რეგატის საორგანიზაციო კომიტეტი და ჩვენი სამმართველო, — თქვა ბოლოს უ. კალამ, — მიღწეულით არ კმაყოფილდება. ყოველი დღე ახალ-ახალ პრობლემებს გვისახავს და ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ ყველა სამუშაოს ვადამდე და ხარისხიანად შევასრულებთ. (საკდესი).

## ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

### კუბის სპორტული დახმარება

ჰავანა. თავისუფლების კუნძულის მწვრთნელები დახმარებას უწევენ განვითარების გზაზე მყოფი მრავალი ქვეყნის სპორტსმენებს. ასე, მაგალითად, კრივის სპეციალისტები მუშაობენ სიერა-ლეონეში და იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გვინეა-ბისაუში, ანგოლაში, სან-ტომესა და პრინსიპში, მოზამბიკსა და სხვაგან.

ამას გარდა, ამ ქვეყნების მწვრთნელებისა და ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის გამოყოფილია სპეციალური სასწავლო კურსი კუბის უმაღლეს სასწავლო დაწესე-

### საციგურაო მიშკოლცში

ბუდაპეშტი. თუ უწინ სპორტის „ყინულიან" სახეობებში უმთავრესად დედაქალაქში ვარჯიშობდნენ და ასპარეზობდნენ, ახლა ჰოკეი, ფიგურული სრიალი და ციგურებით ჩქაროსნული რბენა ამ ქვეყნის სხვა ქალაქებშიც იკიდებს ფეხს. საციგურაოები ჩადგა მწყობრში დუნაივაროშში, იასბერენში, სეკეშფეჰერვარში, დებრეცენში. სულ ახალახან აიგო საციგურაო მიშკოლცშიც.

ეს საციგურაო აშენდა ქალაქის ახალგაზრდობის ხელით და მოსახლეობის ნებაყოფლობითი შეწირულებით. საციგურაო ყოველ დილით მიშკოლცის მოსწავლეთა გან-

## „ოლიმპიური გზით"

ბრიუსელი. ბელგიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ ამ ქვეყნის ის სპორტსმენები, რომელთა შედეგები საერთაშორისო დონეს შეესაბამებიან.

„ოლიმპიადა-80"-ისთვის ეფექტურად მოსამზადებლად ასპარეზობის ყოველ სახეობაში შეიქმნა „ოლიმპიური უჯრედი", რომლის ხელმძღვანელს ნიშნავს კომიტეტი. ათლეტთა უფლება-მოვალეობანი მოცემულია ბელგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ დამტკიცებულ „ოლიმპიურ წესდებაში".

გადაწყვეტილია, აგრეთვე, ფინანსური დახმარება გაუწიონ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს. ამ მიზნით ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ინდივიდუალურ „სტიპენდიას" დაუნიშნავს ყველაზე ნიჭიერ სპორტსმენებს. ახალი წლის დასაწყისში თითოეულმა „სტიპენდიანტმა" ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ვარჯიშისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის გეგმა.

ბელგიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 1979 წლისთვის დაგეგმა 30 სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბელგიელი ოლიმპიელები. საშინაო და საერთაშორისო სტარტების შედეგების მიხედვით შეირჩევა კანდიდატები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

ბელგიის ოლიმპიური მწვრთნელების ასოციაციამ წარუდგინა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სპორტსმენთა მზადების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 1980 წლის ივლისისთვის სპორტსმენთა საუკეთესო ფორმის მიღწევას.

(საკდესი).

# კვლავ საპრიზო ადგილზე

**სსრ კავშირის** ხალხთა I სპარტაკიადიდან ზუსტად 4 წელიწადი გავიდა და მოსკოვში სტარტი აიღო II ასპარეზობამ. იგი თავისი მასშტაბით გაცილებით აღემატებოდა წინამორბედს. საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ კვლავ საპრიზო, V ადგილი დაიკავა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზი დაიმსახურა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 269 ქულა მოაგროვეს. პირველი იყო მოსკოვის გუნდი (344 ქ.). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რსფსრ-ის (329,5), ლენინგრადის (324), უკრაინის (307) კოლექტივები. საპრიზო ადგილები მოიხვეჭეს ქართველმა კალათბურთელმა ვაჟებმა (II), თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა (III), წყალბურთელებმა (III), მოტომრბოლელებმა (III), IV ადგილები დაიკავეს მოფარიკავეებმა, ჩოგბურთელებმა, V — მოჭადრაკეებმა, ტანმოვარჯიშეებმა, მოცურავეებმა, წყალში მხტომელებმა, თანამედროვე ხუთჭიდელებმა, VI — კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა, ველომრბოლელებმა, ნიჩბოსნებმა, მესტენდურეებმა და ძალოსნებმა.

მართალია, საქართველოს კალათბურთელმა ვაჟებმა სპარტაკიადის ჩემპიონობა ვერ მოიხვეჭეს, მაგრამ სპორტული გმირობით საქვეყნო აღიარება მოიპოვეს. ჩვენი ბიჭები ამ ასპარეზობის ყველაზე დიდი სენსაციის ავტორები გახდნენ. ლატვიის გუნდთან ორთაბრძოლაში საქართველოს წარმომადგენლებმა შეუძლებელი შეძლეს. მატჩის ბოლო წუთებზე ჩვენები სამნი თამაშობდნენ ხუთის წინააღმდეგ. ფრედ დამთავრდა შეხვედრის ძირითადი დრო — 64:64. პირველი დამატებით 5 წუთში უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა — 72:72. ასევე ფრე აღინიშნა მეორე დამატებით 5 წუთშიც. — 80:80. შემდეგ 5 საჯარიმოს მიღებისთვის მოედანი დატოვა უგრეხელიძემ. ჩვენები ოთხნი დარჩნენ — აბაშიძე, მოსეშვილი, კაკაურიძე, ალთაბაევი. საქართველოს გუნდი წინ არის 2 ქულით — 88:86. ამ დროს მეხუთე ფოლს იღებს მოსეშვილი და საქართველოს გუნდი 3 კაცის შემადგენლობით ებრძვის მეტოქეს. და აი, განუმეორებელი გამარჯვების მაუწყებელი მსაჯის სასტვენის ხმა. უჩვეულო რამ ხდებოდა ამ დროს ლუჟნიკის სტადიონის მცირე სარბიელზე. 20 ათასმა მაყურებელმა მქუხარე ოვაცია გაუმართა ჩვენს გუნდს. იმ დღეს სპორტული მოსკოვი მხოლოდ ამ მატჩის შთაბეჭდილებით სუნთქავდა. ჩვენი კალათბურთელების სწორუპოვარი გამარჯვება ნამდვილ სპორტულ გმირობად მიიჩნია გაზეთმა „პრავდამ" თავის მოწინავე სტატიაში.

სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი კვლავ შეინარჩუნა ბ. ნიკიტინმა. თავისუფალი სტილით 400 მეტრზე მოცურავეთა ფინალში სტარტი აიღო 8 უძლიერესმა სპორტსმენმა. თბილისელმა საგრძნობი უპირატესობით შეძლო I ადგილის მოპოვება — 4.34,1.

ასევე ჩემპიონის სახელი მოიპოვა საქართველოს გუნდის წევრმა ა. ანტონიანმა ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში. გამარჯვებულმა ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ გამარჯვების ყველა იმედი გადაუწურა ძლიერ მეტოქეებს და დისტანცია 2.40,3-ში დაამთავრა. ეს შედეგი იმ დროს მეორე იყო მსოფლიოში. თავისუფალი სტილით 4×200 მ. ამანათცურვაში საქართველოს გუნდი (ბ. ნიკიტინი, რ. მეშჩეროვი, ვ. რომანოვი, ი. ბინიუკოვი) IV იყო, ასევე IV ადგილზე გავიდა ჩვენი კოლექტივი 4×100 კომბინირებულ ამანათცურვაში (ბ. კამენსკი, ა. ანტონიანი, ნ. უმერენკო, ქ. კობეცკოი).

მოცურავე ქალებიდან წარმატებით იასპარეზა რ. არკადიევამ, რომელმაც თავისუფალი სტილით 100 და 400 მეტრზე ცურვაში შეძლო საპრიზო ადგილების მოხვეჭა. პირველ სახეობაში იგი მესამე იყო, მეორეში — II. ბრასის სტილით 200 მ ცურვაში IV ადგილი დაიკავა ლ. კრილოვამ. ასევე მეოთხე იყო ჩვენი კვარტეტი 4×100 კომბინირებულ ამანათცურვაში.

ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებიდან II ადგილები წილად ხვდათ ს. ჩატულიდის (მძიმე წონა) და ჯ. კვანტალიანს (ქვემსუბუქი). II საშუალო წონაში III იყო რ. აკოფოვი, მსუბუქში IV ადგილი დაიკავა ზ. კოზაევმა.

ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა გუნდურ პირველობაში V ადგილის მოპოვება შეძლეს. პირად შეჯიბრებაში მათი მაჩვენებელი ერთობ მოკრძალებული გახლდათ. რ. კაჭახიძე IV იყო ღერძზე, ხოლო ქ. ქაჯაია — V ხტომაში. წარუმატებელი გამოდგა რესპუბლიკის მძლეოსანთა გამოსვლა. აქ მხოლოდ ა. შჩერბინამ შეძლო VI ადგილის დაკავება 20 კილომეტრზე სიარულში, იგი მეხუთე იყო 50,000 მეტრზეც. VI ადგილი წილად ხვდა ჩვენს კვარტეტს 4×100 ამანათრბენში (ლ. ანთაძე, ზ. ჯარაშნელი, რ. ტრაპაიძე, ე. ლომთაძე).

ჩოგბურთელთა ასპარეზობაში ქალთა ერთეულებში მესამე იყო ი. რიაზანოვა, ხოლო — ა. დმიტრიევასთან ერთად მან სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. შერეულ წყვილებში რიაზანოვა ა. ვერულავასთან ერთად V ადგილზე გამოვიდა. რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდმა (ბ. გურგენიძე, მ. შიშოვი, ა. ბუსლაევი, ა. ბლაგიძე, თ. გიორგაძე, ა. იზვოზჩიკოვი, მ. ტოგონიძე, ა. ჩაიკოვსკაია, ნ. გაფრინდაშვილი) V ადგილი დაიკავა.

კარგად იასპარეზა მჩატე წონის თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ვ. არსენიანმა. მან გადამწყვეტ ბრძოლაში ქულებით სძლია ლენინგრადელ ი. ზამიატინს, შემდეგ ფინალში ორივე ბეჭით დასცა მოსკოველი მ. ტიმოხინი და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. საპრიზო ადგილები მოიპოვეს ვ. ბალავაძემ (II), გ. სხირტლაძემ (III), ა. გვიმრაძემ (III), გ. გობეჯიშვილმა (VI), ო. კანდელაკმა (V), კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის საქართველოს ფალავნებიდან ჩემპიონი ვერავინ გახდა. III ადგილი ერგო გ. ჩიტიაშვილს, V — ა. ქორიძეს, ასევე V — დ. გვანცელაძეს.

წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წყალბურთელები. ჯერ იყო და წინასწარ ტურნირში მათ სძლიეს ესტონეთის (7:2), თურქმენეთის (9:1), უკრაინის (4:3), ბელორუსიის (8:2), ტაჯიკეთის (6:1) გუნდებს და ფინალურ ექვსეულში გავიდნენ. აქ ყველაზე საინტერესო გამოდგა საქართველოსა და მოსკოვის გუნდების შეხვედრა. ანგარიში გახსნა მოსკოველმა ვ. მშვენიერაძემ, მაგრამ 2 წუთის შემდეგ ნ. გვახარიამ აღადგინა წონასწორობა, შემდეგ ვ. პროკოპოვმა წინ გაიყვანა მოსკოვის კოლექტივი, რასაც მოჰყვა ი. ჩხიკვაძის ზუსტი ტყორცნა — 2:2 დარჩენილ დროში ანგარიში ორჯერ იყო საყაიმო — 3:3, 4:4. უკანასკნელ წამებზე 4-მეტრიანი საჯარიმო ზუსტად ტყორცნა მშვენიერაძემ და მოსკოვის ნაკრებმა გაიმარჯვა — 5:4.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა ლუჟნიკის სტადიონის იმ სექტორზე, სადაც სიმაღლეზე მხტომელი ვაჟები ასპარეზობდნენ. 2 მეტრზე გადებული თამასა ერთდროულად 7 სპორტსმენმა დაძლია — რ. შავლაყაძემ, ი. კაშკაროვმა, ვ. ხოროშილოვმა, ვ. ბოლშოვმა, ვ. პოლიაკოვმა, ი. ჩისტიაკოვმა და ბ. რიბაკმა. 208 სმ სიმაღლეს 4 სპორტსმენმა შეუტია, რომელთა შორის ჩვენი რობერტ შავლაყაძეც იყო. პირველ ცდას შედეგი არ მოუცია. მეორე ცდაზე იგი კაშკაროვმა დაძლია, მესამეზე — შავლაყაძემ. 211 სმ. სიმაღლეზე პირველ და მეორე ცდაზე ლიდერებს ხელი მოეცარათ. მესამე გადამწყვეტი ხტომის სტარტზე დადგა ქართველი სპორტსმენი. სწრაფი გარბენის შემდეგ იგი ჰაერში აიჭრა და ოსტატურად გადაევლო თამასას. ახლა ჯერი კაშკაროვზე მიდგა. მანაც დაძლია სიმაღლე. ჩემპიონი კაშკაროვი გახდა. ვერცხლის მედალი შავლაყაძეს გადაეცა.

„ვერცხლის" მედალი მოიპოვა ლამარა ტუღუშმაც. ბადროს ტყორცნის სექტორში ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის ცნობილი სპორტსმენების — ნ. პონომარიოვას, თ. პრესის მხარდამხარ გამოდიოდა ახალგაზრდა ქართველი მძლეოსანიც, რომელმაც არა მარტო ჯეროვანი მეტოქეობა გაუწია მძლეოსნობის ამ სახეში აღიარებულ ოსტატებს, არამედ სპარტაკიადის მეორე პრიზიორიც გახდა — 51,61 მ. გამარჯვებული პონომარიოვას შედეგია 52,87 მ.

ტყვიის მსროლელებიდან თავი გამოიჩინა შოთა ქველიაშვილმა, რომელმაც II ადგილი დაიკავა ნებისმიერი საბრძოლო შაშხანიდან 3×40 სტანდარტზე სროლაში — 1108. მას 7 ქულით აჯობა მოსკოველმა ვ. ბორისოვმა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში IV იყო საქართველოს წარმომადგენელი ა. შილოვი — 552 ქ.

**ზ. ჯანდიერი.**



**სურათზე:** აი, ასე გამოხატეს თავიანთი სიხარული საქართველოს კალათბურთელებმა ლატვიის გუნდთან გამარჯვების შემდეგ.

# სპორტის ოსტატი პერსპექტივაში

საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნურ მანეჟში გაზეთ „იზვესტიის" პრიზებზე თბილისის საქალაქო პირველობა რომ დამთავრდა, ამ ბაზას მოსწავლეები დაეუფლნენ: აქ ორ დღეს გაგრძელდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული სკოლების პირად-გუნდური პირველობა, რომელმაც 8 კოლექტივს მოუყარა თავი. ასპარეზზე 1962-1963 წლებში დაბადებული ქალიშვილები და ჭაბუკები გამოდიოდნენ, ისინი, რომლებმაც თანდათან უნდა შეავსონ საქართველოს ნაკრები გუნდები.

სარბიელზე ვიხილეთ რამდენიმე მძლეოსანი, რომლებმაც მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაში სცადეს ძალები. იანვარში, როცა სპორტსმენები წვრთნას ეს-ესაა იწყებენ, მაინცდამაინც მაღალ შედეგებს ვერ მოვითხოვთ, მაგრამ ზოგიერთმა მოზარდმა შეძლო დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლების ჩვენება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის 83-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის ოლღა ვერშინინას წარმატება. იგი საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში გ. მიროტაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ამ გოგონამ ხუთჭიდში 3665 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. (სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებაში იგი ერთადერთი აღმოჩნდა). ამით მან თავის გუნდს უფრო მეტი ქულები (21) მოუტანა, ვიდრე ეს შეეძლო ორ სპორტსმენს, რომლებიც პირველ ადგილებს დაიკავებდნენ. საქმე იმაშია, რომ გამარჯვებული სპორტსმენი, რომელიც ჩასათვლელ II თანრიგის ნორმატივს შესწვდებოდა, გუნდს 9 ქულას აძლევდა, ხოლო თუ სპორტსმენი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს დაძლევდა, დამატებით 12 ქულა ეწერებოდა (ოსტატობისთვის — 24).

მაგრამ მთავარი ის როდია, რომ ვერშინინამ ახალი წლის სტარტზე შეძლო სპორტის ოსტატობის კანდიდატობის ნორმის შესრულება, არამედ ის, რომ, როგორც სპეციალისტები აღიარებენ, იგი სპორტის ოსტატია პერსპექტივაში და იმედოვნებენ, რომ ოლღა ამ წოდებას უთუოდ წლეულს მოიპოვებს.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმისა და ცხინვალის განათლების განყოფილებების გუნდები და თბილისის საშუალო სკოლა-ინტერნატის ნაკრები გუნდები.

საბოლოოდ გუნდური ტურნირი რესპუბლიკის პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა მოიგეს. მათ ორი დღის ჯამში 107 ქულა მოაგროვეს და 35 ქულით ჩამოიტოვეს განათლების სამინისტროს სპორტსკოლების ნაკრები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: საშუალო სკოლა-ინტერნატის (59 ქულა), თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპორტსკოლა (51), ბათუმის (27), ქუთაისისა (14) და სოხუმის (5) კოლექტივები. ცხინვალელებმა ვერც ერთი ქულის აღება ვერ შეძლეს,ვინაიდან ამ გუნდის სპორტსმენთაგან მეორე თანრიგის ნორმატივს ვერავინ შეწვდა.

პირად პირველობაში ვერშინინას კარდა უნდა აღვნიშნოთ მ. აზარაშვილი, რომელმაც 60 და 100 მეტრზე რბენაში (7,8 და 12,3 წამი) პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულა.

ჭაბუკებიდან პირველი თანრიგის ნორმატივი ორ-ორჯერ აჩვენეს ვ. თოფურიძემ (განათლების სამინისტრო) და ვ. ლისაკოვმა (პროფსაბჭოს სკოლა). თოფურიძემ 60 მეტრზე რბენაში მთავარ მეტოქეს ვ. ლისაკოვს (პროფსაბჭოს სკოლა) ფინიშთან მკერდით მიასწრო — 6,9 წამი. 100 მეტრზე რბენაში კი ლისაკოვმა შეძლო რევანშის აღება. ამჯერადაც 11,0 წამი აჩვენა.

ჭაბუკებიდან უნდა გამოვყოთ კიდევ ორი სპორტსმენი — ი. ბელსკი (პროფსაბჭოს სკოლა), რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში უახლოესი მეტოქეები შ. ბლიაძე (პროფსაბჭოს სკოლა, პირადი) და შ. ათანელოვი (განათლების სამინისტრო) 15 სანტიმეტრით ჩამოიტოვა. (ბელსკი 195 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო) და დ. ლომჯარია (განათლების სამინისტრო) — 16,40, რომელმაც ბირთვის კვრაში უკანასკნელ ცდაზე აჯობა ა. ქორიძეს (ინტერნატი) — 16,02.

სამწუხაროდ, ზოგიერთ სახეობაში ჩასათვლელი მეორე თანრიგის მაჩვენებლებს გამარჯვებულნიც ვერ შეწვდნენ. ასე იყო, მაგალითად, 400 მეტრზე გოგონებისა და ჭაბუკების რბენაში, 800, 1500, 3000 მეტრზე ჭაბუკთა ასპარეზობაში, რაც იმას მოწმობს, რომ ამ დისტანციებზე ჩვენი მოზარდები ჩამორჩებიან.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა **ტექნიკურ შედეგებს:**

**გოგონები. რბენა. 400 მ.** ლ. რევა (სოხუმი) — 1.02,7; **800 მ.** ლ. წინალაშვილი (ინტერნატი) — 2.18,2; **1500 მ.** ნ. ჭალიაშვილი (განათლების სამინისტრო) 4.58,8; **60 და 100 მ. თარჯრბენი.** ლ. შალიგინა (პროფსაბჭოს სკოლა) —9,2 და 15,2; **ბირთვის კვრა.** მ. კუცია (ინტერნატი) — 11,62; **სიგრძეზე ხტომა.** ქ. ჩოფიკაშვილი (პირადი) — 529; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ქურდაძე (ორივე — პროფსაბჭოს სკოლა) — 153 სმ.

**ჭაბუკები. რბენა. 400 მ.** ო. არტემიევი (პროფსაბჭოს სკოლა) — 54,5; **800 მ.** არტემიევი — 2.06,7; **1500 მ.** ა. სოლოვიოვი (განათლების სამინისტრო, 4.24,4; **3000 მ.** ვ. კოჩიევი (განათლების სამინისტრო) — 9.24,5; **1500 მ. დაბრკოლებებით.** ი. ლევიტი (განათლების სამინისტრო) — 4.34,5. **60 და 100 მ. თარჯრბენი.** ო. წიკლაური (ინტერნატი) — 8,6 და 15,3; **სიგრძეზე ხტომა.** გ. ზაუტაშვილი (გორი, პირადი) — 671; **სამხტომი.** ს. ახვლედიანი (განათლების სამინისტრო) — 14,04; **ჭოკით ხტომა.** ა. ხალინი (თბილისის განათლების განყოფილება) — 4 მ; **შვიდჭიდი.** თ. ქათამაძე (ბათუმი) — 4240 ქულა.

**ო. ივლოშვილი.**

# სპორტული გორი

## 12 გუნდის მონაწილეობით

გორელი კალათბურთელები არ ივიწყებენ კარგი კალათბურთელისა და მოსწავლის თ. ირემაძის ხსოვნას. ამ დღეებში აქ ჩატარდა მისი სახელობის თასის გათამაშება, რომლისთვისაც იბრძოდნენ თორმეტივე საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

გადამწყვეტი შეხვედრა შედგა მე-12 და მე-9 სკოლის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მე-12 სკოლელებმა და თასიც მათ ერგოთ.

ტექნიკური თამაშისთვის ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპეციალური პრიზი დაიმსახურა მე-9 სკოლის მოსწავლემ ზ. გიგაიამ.

* * *

## ბურევესტნიკელთა წარმატება

ბურევესტნიკის წარმატება

მოეწყო ქალაქის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოდიოდა „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „განთიადის", ქალაქისა და რაიონის სპორტსკოლების და „ლოკომოტივის" 88 ჭაბუკი ფალავანი.

„ბურევესტნიკის" წარმომადგენელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორივე ასაკობრივ ჯგუფში კარგად ჩაატარეს შერკინებები და წარმატებებსაც მიაღწიეს.

პირად ასპარეზობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის შესაფერი სიგელები.

**ი. თევდორაშვილი.**

(ჩვენი კორ.)

ჩვენი ინტერვიუ

# მებაღე სჭირდება სიყვარულს

ამ ორი ფილმის პრემიერას სულ რაღაც ორი თვე აშორებს. ერთი („მეექვსე ცდა“) ფეხბურთში სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონის დაბადებისას ნახა მაყურებელმა, სულ ახლახან მოეწყო მეორის („ჭიდაობას რა უნდა“) პრემიერაც. ორივე ფილმი კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო.



**პროფესია** თავისით არ მოდის კაცთან. პროფესიას ვირჩევთ, უფრო სწორად, კარგა ხნის მანძილზე დაგროვებულ შთაბეჭდილებებს, ათობით დიდსა თუ მცირე სიმპათიებს, ბოლოს ერთად თავმოყრილსა და შინაგან სურვილად ქცეულს მივყავართ ამა თუ იმ საქმემდე, მერე მოთხოვნილებადაც რომ გვექცევა ხოლმე.

სხვადასხვანაირია ეს გზები. მიხეილ ჭიაურელი (ცნობილი ქართველი კინორეჟისორის მიხეილ ჭიაურელის შვილიშვილი) ოჯახურმა ტრადიციამ მიიყვანა კინოში (მამა, ოთარ ჭიაურელიც კინოდოკუმენტალისტი იყო). პროფესია ტრადიციამ მოაძებნინა, ტრადიციის სიყვარული და პატივისცემა აჰყვა ახალგაზრდა რეჟისორის პირველივე ფილმებს.

„ქართული ხალხური შრომის სიმღერები“, სვანური ფერხულები („ლილეო“). ამ ორი სატელევიზიო ფილმის სახელწოდებებიც კი თავისთავად ლაპარაკობენ რეჟისორის მიერ მონიშნულ გზასა და ინტერესთა სფეროზე. მერე კი, ერთი შეხედვით უცნაური შემობრუნება — „მეექვსე ცდა“ და „ჭიდაობას რა უნდა“.

— **ამგვარ ფილმებს რატომღაც სპორტულს უწოდებენ. რა თქმა უნდა, ასეთი განსაზღვრა მცდარია. ფილმი ფილმია, სულ ერთია ზეინკალზე იქნება ის, მეცნიერზე თუ სპორტსმენზე. სამივე შემთხვევაში, პირველყოვლისა ადამიანია საინტერესო, ბუნებრივია, საყვარელ საქმესთან მიმართებით. დარწმუნებული ვარ, ქარხნის ცხოვრებაზე გადაღებულ ფილმს, არავის მოუვა ფიქრად, საქარხნო ფილმი უწოდოს. ვიმეორებ, მთავარი მაინც კაცის სულიერი სამყარო, ამ კაცის პროფესიასთან დამოკიდებულებაა. სხვა საქმეა, რამდენად მოახერხებს ამას რეჟისორი. რა თქმა უნდა, შეიძლება იმთავითვე ჩავიფიქროთ წმინდა „სპორტული ფილმის“ გადაღება — რბენისა თუ ხტომის ტექნიკა, ვარჯიშის ინტენსიურობა, უშუალოდ შეჯიბრება. ეს შესაძლებელია, მაგრამ ვშიშობ, რომ ამგვარ ფირს ხელოვნებასთან არაფერი ექნება საერთო, იგი, ასე ვთქვათ, მეთოდურ სახელმძღვანელოთა კატეგორიას განეკუთვნება. წარმოიდგინეთ ფილმი ნონა გაფრინდაშვილზე, ლევან თედიაშვილზე, ვიქტორ სანეევზე, ფილმი, სადაც ყველაფერია ამ ადამიანების პიროვნებების გარდა. დამეთანხმებით, რეჟისორის ამგვარი შრომა წყალს გატანებული შრომაა.**

ის, რაც მომავალში წარმოიდგენ, ფილმად იქცევა ხოლმე, ჩანაფიქრით იწყება. არც ის არის ციდან შემთხვევით მოწყვეტილი შთაგონება. ნებისმიერი იდეა თვეობით, ხანდახან წლობით ყალიბდება. ხშირად იმდენად შეუმჩნეველია ეს პროცესი, რომ იდეის გაჩენისთანავე კაცს შეიძლება მოეჩვენოს — ღმერთმა მიწყალობაო.

— **ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ბავშვობაში ათასი წვრილმანი ვიცოდი „დინამოს“ ფეხბურთელებზე — ვის რა ზომის ფეხი ჰქონდა, ვინ სად ცხოვრობდა. ერთი შეხედვით იქნება სასაცილოც იყოს ასეთი დაინტერესება, ამგვარი „ცოდნა“, მაგრამ ეს სავსებით დამსახურებული ინტერესი იყო. თქმა არ უნდა, ბავშვური, გულუბრყვილო, მაგრამ არამც და არამც უსაფუძვლო. აი ეს მოწიწება, პატივისცემა, სიყვარული პაიჭაძისა და ღოღობერიძის თაობის ფეხბურთელებისადმი მეც და ალბათ ბევრ ჩემნაირსაც დღემდე გამოგვყვა, ბუნებრივია, სახეშეცვლილი და გაცნობიერებული. 1976 წლის ფინალი მეექვსე იყო თბილისის „დინამოსთვის“. ჩემთვის კი ფეხბურთისადმი ზემოთხსენებული დამოკიდებულების გამოკვეთისა და ფილმში ხორცშესხმის ბიძგად იქცა. მერე ყველაფერი თავისთავად დალაგდა. მახსოვს, რომ გავოცდი — იმ ხუთი ფინალის შესახებ ბევრი რამ მქონდა გაგონილი, ნახვით კი არაფერი მენახა. დაუჯერებელი იყო, რომ სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩების ამსახველი ფირები სადმე არ ყოფილიყო.**

„მეექვსე ცდა“ და „ჭიდაობას რა უნდა“ მართლაც ერთი შეხედვით შეიძლება მიიჩნიოს კაცმა რეჟისორის ინტერესთა შემობრუნებად. ამ ფილმებში მიხეილ ჭიაურელი ისევ ერთხელ უკვე არჩეულ გზას მისდევს. ისევ ტრადიცია, ისევ ძველი, გვარიანად მიწამიყრილი, მაგრამ მაინც ცოცხალი ძირების ძებნა. იყო ოფლისსაღვრელად გასული ქართველი გლეხის სიმღერა, იყო სვანური „ლილეო“, ახლა ლეგენდადქცეული ბიჭები არიან — პაიჭაძეები, ბერძენიშვილები, ღოღობერიძეები. თუ ქართველ კაცს ბრძოლა შეეძლო, შრომა შეეძლო, სიმღერა შეეძლო, ბურთის თამაშშიც არ იყო ჯაბანი... სარმაც იცოდა, შუქაურიც, კარგადაც იცოდა. სოფლის საჭიდაოებზე, ქართულ ჭიდაობაში აიდგეს ფეხი მომავალმა ოლიმპიურმა, მსოფლიოს ჩემპიონებმა... ესეც, სიმღერის არ იყოს, ცეკვის არ იყოს, ქვეყნის სიამაყეა, ერის სახელია.

— **ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით ოლიმპიურ ჩემპიონზე, ლევან თედიაშვილზე უნდა გადაგვეღო ფილმი. ასეც ვფიქრობდით, მაგრამ აქაც იმ მომენტმა შეცვალა ჩვენი მიზანი. მოხდა ისე, რომ იმ ვადებში თბილისის საერთაშორისო ტურნირს გარდა სხვა ასე თუ ისე ნიშვნელოვანი შეჯიბრება არ მოწყობილა. ლევანმა ეს ტურნირი მოიგო — ძალზე კარგად ჩაატარა რიგი ორთაბრძოლები, მაგრამ რატომღაც მაინც უკმაყოფილო დარჩა. ტურნირი გადავიღეთ, მასალაც ვნახეთ და, აი აქ სულ სხვაგვარად დავინახე მომავალი ფილმი. შევცქეროდი ლევანის ჭიდაობას და თანდათან მიჩნდებოდა ახალი სურვილი: ლაბორატორიიდან გასულიყო არა ფირი ლევან თედიაშვილზე, არამედ იმაზე, რომ არის ჩვენში ასეთი ფალავანი — ლევან თედიაშვილი, გვყავდნენ მისი მსგავსებიც და რანაირად და რატომ ხდება ეს. ერთი სიტყვით, ქართული ჭიდაობის ტრადიციის ძირებით დავინტერესდი.**

ერთია იდეა, მეორე — მისი ხორცშესხმა. რეჟისორს უამრავი წინაღობა ხვდება წმინდა საარქივო მასალებიდან დაწყებული „მსახიობებით“ გათავებული. თასისთვის ბრძოლების თითქმის ორმოცწლიანი ისტორიის გასაცოცხლებლად კონკრეტული კადრები, კონკრეტული ადამიანებია საჭირო, ყველაფერს ამას დაძებნა, ერთად თავმოყრა უნდა. იმ ძველ ამბებზე ფირები თავისით ლაპარაკობენ, ათას რამეს მოიგონებენ „საფეხბურთო პაპებიც“, მაგრამ მიიღებს კი მაყურებელი სპორტსმენის იდეალად ქცეულ ლეგენდარულ ფეხბურთელებს დღეს, უკვე ასაკგადაცილებულებსა და მწვანე მინდვრებისთვის საკმაოდ მობერებულებს?

— **კრასნოგორსკის (მოსკოვის ოლქი) სახელმწიფო არქივში სამასზე მეტი სპორტული ფირი ვნახე. მასალა მართლაც ურიცხვი იყო. საბოლოოდ ყველა ფინალს მივაგენი 1936-ის გარდა. სამწუხაროდ, ყველა ის მატჩი მეტწილად საერთო ხედით არის გადაღებული. ეს რა თქმა უნდა, ართულებდა საქმეს. ესეც არ იყოს, ჩვენს თაობას უკვე აღარ აქვს საშუალება ახლოს იხილოს იმდროინდელი ვარსკვლავების ხელოვნება. ასეთი კადრები თითქმის არ არის. სამწუხაროა, რომ პაიჭაძის, ბერძენიშვილის, შავგულიძის, ღოღობერიძის, მესხის, იამანიძისა და კიდევ ბევრის ოსტატობაზე დღეს მხოლოდ საუბარიღა შეგვიძლია და თუ 30-იანი და 40-იანი წლების კადრების არქონაზე კიდევ შეიძლება თვალის დახუჭვა, ნამდვილად არ გვეპატიება, პირველ რიგში კი დოკუმენტალისტებს, ის ფაქტი, რომ კაციშვილი ვეღარ ნახავს ავთანდილ ღოღობერიძის ტექნიკის დემონსტრაციას, შოთა იამანიძის რეიდებს. კურიოზი ეთქმის იმასაც, რომ მიხეილ მესხის მხოლოდ ერთი თუ ორი ფინტია გადაღებული. ვალში, თანაც როგორ ვალში ვართ ანდრო ჟორდანიას წინაშე. მაგრამ გვიანღაა. სიტყვამ მოიტანა და აქვე მინდა ვთქვა: დღევანდელმა თაობამ მეედველობაში უნდა მიიღოს ეს მწარე გაკვეთილი და რაც შეიძლება მეტი მასალა დააგროვოს, რა თქმა უნდა, მომავლისათვის და არა კონკრეტული ფილმისთვის. ახლა, პრაქტიკულად არც თუ რთული სამუშაო წლების შემდეგ დაუფასებელ კადრებად იქცევა, რამდენი დაგვრჩება მადლიერი! ეს, რაც შეეხება საარქივო მასალას. ძალზე გაძნელდა ძველი ფეხბურთელების თავშეყრაც. ბოლოს, როგორც იქნა, მოსკოვის ტელესტუდიაში 36-ისა და 46-ის ფინალების მონაწილეებს შევხვდი. სიხარულით დათანხმდნენ ჩვენს წინადადებას. კაჩალინი, სემიჩასტნი, დემენტიევი, ლეონტიევი და ილინი. დემენტიევმა ალბომიც კი მოიტანა. წარსულის ეს ხუთი დიდოსტატი ერთად რომ ვნახეთ, ერთხანს ჩვენი უშუალო ამოცანაც დაგვავიწყდა. რაღა თქმა უნდა, აღარც თვითონ გახსენებიათ ტელესტუდიაში მოსვლის მიზანი, იხსენებდნენ, იგონებდნენ, იცინოდნენ. თბილად გაიხსენეს ანდრო ჟორდანია, ბორის პაიჭაძე, ბერძენიშვილი. ჩვენც ვუსმენდით და მერეღა მივხვდი, რომ მშვენიერი კადრები ვავუშვი ხელიდან. ახლაც ვერ მიპატიებია თავისთვის. დაახლოებით აგივე პრობლემები იყო გადასაჭრელი მეორე ფილმშიც, მოვინახულე და ვესაუბრე გიორგი კახნიაშვილს (პატარა ვერელი, შოთო ვერელის ძმა), რომელსაც კარგად ახსოვდა კულა გლდანელის, ნესტორ ესებუას, იოსებ ცერაძის, კამბეჩუას (ვანო აბულაძე), კოსტა მაისურაძის, ირაკლი ვაჩნაძის ჭიდაობა.**

ამგვარ ფილმებს, და საერთოდ, ხელოვნების ყველა იმ ნაწარმოებს, წარსულს რომ აცოცხლებს, ესთეტიკური სიამოვნების გარდა, სხვა უფრო სერიოზული სარგებლობის მოტანაც აკისრია: ყველაფერი კარგის აღნუსხვა, შენახვა და მისი პროპაგანდა. თაობა აწმყოსა და წარსულის კარგ მაგალითებზე იზრდება. ორივე ფილმში საკმაოდაა ასეთი მაგალითები — სპორტსმენის სულიერი სიმტკიცე იქნება ეს, გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვა, უსაზღვრო ენთუზიაზმი თუ მივიწყებული ილეთი.

— **საგარეჯოში შალვა გზირიშვილს ვესაუბრე. დიდხანს მელაპარაკა ქართულ ჭიდაობაზე, ძველ წესებზე — სიმღერის თანხლებით ჭიდაობდნენო, ჭიდაობის შემდეგ მეტოქეები ძმებივით გადაკოცნიდნენ ხოლმე ერთმანეთსო. საგარეჯოშივე გავიცანი ბიჭიკო მარიდაშვილი. ამ კაცმა თავის სოფელში, გიორგიწმინდაში დარბაზი იშოვნა, მიუშენა საშხაპე, საიდანღაც ჩამოიტანა ლეიბები და ახლა 60-70 ბავშვს ავარჯიშებს. მაინც ვფიქრობ, რომ ამ ფილმით ძალზე ცოტა ვთქვი ქართულ ჭიდაობაზე. სპორტის ეს სახეობა გაცილებით მეტს იმსახურებს.**

ფილმის გადაღების დროს საგარეჯოში სულ რამდენიმე აფიშა იყო გაკრული. საოცარია, იგონებს მიხეილ ჭიაურელი, საიდან ან რანაირად მოაწყდა ამდენი ხალხი.

გასაკვირი არაფერია, ჭიდაობაცა და ბურთაობაც ისევეა ქართველი კაცის სისხლში გამჯდარი, როგორც მიწის სიყვარული, შრომის სიყვარული, ცეკვა-სიმღერის სიყვარული. ეს არის, გაღვივება, პატრონი, ცნობილი ფრანგი მწერლის არ იყოს, მებაღე სჭირდება ამ სიყვარულს...

ი. გურიაშვილი.

# 3:0 — მონაკოსთან

**მონტე-კარლო.** საბჭოთა ჩოგბურთელებმა წარმატებით აიღეს სტარტი თავიანთთვის ახალ შეჯიბრებაში — ევროპის პირველობაზე ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის დახურულ კორტებზე. მათ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მონაკოს ნაკრები. გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ტ. მეტრეველი (თბილისი) და მოსკოველი ვ. ბოროვიკი.

ახლა ჩვენი გუნდი მეტოქეს მიიღებს შინ — ცსკა-ს კორტებზე. 14 იანვარს გაიმართება მატჩი შვეიცარიელებთან, ხოლო 18 იანვარს — ნორვეგიელებთან.

# ბოლო რეპეტიცია

**თბილისში** დამთავრდა წყალბურთელთა პირველობა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პრიზზე — „ზამთრის არდადეგები“.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის, ენერგეტიკის ინსტიტუტის, მინსკის, ლვოვის, კიევისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები.

მატჩების უმრავლესობა სანახაობრივად მიმზიდველად და მაღალ დონეზე ჩატარდა. სამწუხაროდ, შეჯიბრება არ იყო აფიშირებული და ბუნებრივია, ასპარეზობას მაყურებელი ერთობ ცოტა ჰყავდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა — მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივმა. II ადგილზე გავიდა მინსკის „ბურევესტნიკი“. ხოლო III — მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის გუნდი.

პირველობის დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ა. ნემცოვს.

— როგორც ცნობილია, 1 თებერვალს დაიწყება საკავშირო პირველობა უმაღლეს ლიგაში. თბილისის ტურნირი ალბათ ბოლო რეპეტიცია იყო იმ გუნდებისთვის, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატში გამოვლენ. სამივე პრიზიორი უმაღლესი ლიგის ბინადარია და მზადების ბოლო ეტაპზე თბილისში გამოსვლა მათთვის სასარგებლო იყო. ახლა ძნელია ამ გუნდების მომზადებაზე საუბარი. და მაინც, ეტყობა ეს კოლექტივები საკავშირო პირველობას მომზადებული ხვდებიან. მაღალი კლასის ოსტატობა გვიჩვენეს ცალკეულმა წყალბურთელებმაც. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნუგზარ მშვენიერაძე (მოსკოვის უნივერსიტეტი) და იგორ პერეპიოლკინი (მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი).

— **როგორი შთაბეჭდილება დატოვა თბილისის „ბურევესტნიკმა?“**

— მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა ერთი შეხვედრის გარდა (კიევის „ბურევესტნიკთან“ 6:6) ყველა მატჩი წააგეს და ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ, მათი თამაში მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა შევაფასო. მართლია, თბილისელ სტუდენტებს (უმრავლესობა სპორტის ოსტატობის კანდიდატია) უჭირდათ მათზე გაცილებით ძლიერ კოლექტივებთან გამკლავება, მაგრამ ისინი ყველა შეხვედრაში მონდომებით თამაშობდნენ. არადა, მეტოქე გუნდებში საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატებიც გამოდიოდნენ. რასაკვირველია, თბილისელებს შეეძლოთ უკეთ გამოსვლა.

ბ. თათეიშვილი.

# ფეხბურთი... დარბაზში

ლენინგრადის სპორტული თამაშების სასახლის ხელოვნურ საფარზე 2 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ფინეთის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ამ ქვეყნის პირველი ნაკრების 8 მოთამაშე გამოდიოდა.

სტუმრებმა ჯერ წააგეს ლენინგრადის დინამოელებთან — 0:4. შემდეგ ისინი შეხვდნენ ადგილობრივ „ზენიტს“ და კვლავ დამარცხდნენ — 1:3.

# ჩემპიონი პირველად

**ზაპოროჟიე.** მოსკოველი კ. კოკორა პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში — 186,48 ქულა, მეორე იყო ლენინგრადელი ი. ბობრინი — 185,10 ქ., ხოლო მესამე — მისი თანაგუნდელი ვ. კოტინი — 172,18 ქ.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მოსკოველმა ვ. კოვალიოვმა, რომელიც სავალდებულო ვარჯიშისა და მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობდა, ტრავმის გამო ვერ შეძლო შეჯიბრების გაგრძელება.

• • •

**სურათზე:** სპორტულ ცეკვებში სსრ კავშირის ჩემპიონები ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი.



## 1979 — ბავშვთა საერთაშორისო წელი

# იზარდე, მწვანე ჯეჯილო

### მოჭიდავე მიხო

დღეს პაატა დამეჭიდა,
წამოვავლე ხელი მარჯვედ,
სარმა სწრაფად გავუკეთე
და... ერთ წუთში გავიმარჯვე.
წამით არ დაფიქრებულა,
ნახერხიდან ადგა როცა,
ხელი ძმურად ჩამომართვა,
გამარჯვება მომილოცა.



□

### მეძახიან გოლიათს

ხელი გადავუწიე
ჩემზე დიდებს, მგონი ათს.
იმის მერე, ეზოში
მეძახიან გოლიათს.



□

### რად აქვს კუზი?

— მიხო, ამ პატარა აქლემს,
რად აქვს ზურგზე კუზი?
— იმიტომ, რომ გაკვეთილზე,
მერხს მოხრილი უზის!



□

### ბაქარი

ღომი ყველით გეახელით
და ნალებიც თბილი რძისა.
ახლა, ზურას კი არა და —
დათვის ბელსაც დავცემ ძირსა!



### ფეხბურთი

იქით — შენი კარები,
აქეთ — ჩემი კარები.
თუ დღესაც ვერ მოგიგე,
ბურთს არ გავეკარები!

□

### ვერ დაძლიეს ერთმანეთი

სათამაშო მოედნად აქვთ
ასი მეტრი ველი.
გუნდებს ათი მესხი ჰყავდათ,
ათი მეტრეველი.
კარში იდგა ორთავ მხარეს,
კოტრიკაძე სერგო...
ამიტომაც ბროლის' თასი,
არც ერთ გუნდს არ ერგო.



□

### უშიშარი ჩემპიონი

ინდი-მინდი! ინდი-მინდი!
თხილამურით, ფერად შინდით
ორმეტრიან ტრამპლინიდან,
დღეს ათ მეტრზე გადავფრინდი...
პაპამ მითხრა: აი, ყოჩაღ!
გააოცე ჩვენი ონი,
გენაცვალე, ჩემო გოჩა,
ხარ უშიშარი ჩემპიონი!
ინდი-მინდი! ინდი-მინდი!
დღეს, ათ მეტრზე გადავფრინდი!...





□

### ტრაბახა კატა

ტრაბახობდა კატუნი:
— შემირცხვეს ეს ულვაში,
იხვი რაა, თევზებმაც
თუ მაჯობონ ცურვაში!
წყალში ჯერ არც შესულა,
ბაქი ბუქობს: — იხვს ვჯობნი!
იქ კი მორთო კნავილი:
— მიავ, მიავ! ვიხრჩობი!



ა. მეგრელიშვილის ტექსტი. ● ა. ოქროპირიძის ნახატები.

მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ ჰოკეისტებმა თავიანთი ტურნეს დასკვნით მატჩში კანადის ქალაქ. გალიფაქსში „ნოვა სკოტია ვოიაჯერსთან“ ფრედ 4:4 (1:1, 2:1, 1:2) ითამაშეს. მოსკოველებიდან შაიბები გაიტანეს: კოროტკოვმა, კოვინმა, კაპუსტინმა და ტიუმენევმა.

საკდესის კორესპონდენტი ვ. დვორცოვი გალიფაქსში, სასტუმრო „ციტადელ ინნში“, ტელეფონით დაუკავშირდა საბჭოთა ჰოკეისტების უფროს მწვრთნელს ი. ტუზიკს, სთხოვა მას მოეთხრო უკანასკნელი მატჩის შესახებ და ტურნირის კომენტარები გაეკეთებინა.

— „ნოვა სკოტია ვოიაჯერსი“ დანარჩენი ოთხი კლუბისგან განსხვავებით, რომლებსაც ჩვენ ადრე შევხვდით, ეროვნულ ჰოკეისტთა ლიგაში კი არ თამაშობს, არამედ

## შედეგებით კმაყოფილნი არიან

ამერიკის ჰოკეისტთა ლიგაში. იგი ძლიერი მეტოქეა.

ჩვენს თამაშზე, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია დაღლილობამ — გუნდი ყინულის მოედანზე ბოსტონში გამართული ძნელი მატჩიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოვიდა.

ვფიქრობთ, ტურნეს შედეგებით უკმაყოფილონი არ უნდა ვიყოთ. კარგად ითამაშა ორივე მეკარემ — მიშკინმა და სიდელნიკოვმა. მცველთაგან უძლიერესი იყო სტარიკოვი. ფილადელფიასა და ბოსტონში ძალისმიერ თამაშებში საუკეთესო თვისებები გამოავლინეს ტიურინმა და ლოკოტკომ. გუნდში სხვებზე უკეთ ითამაშა სკვორცოვ — კოვინ — ვარნაკოვის სამეულმა. ისინი [illegible], შემოქმედებითად, და, რაც მთავარია, [illegible].

აშშ-სა და კანადაში გულწრფელად მიგვიღეს, ბოსტონში მონაწილეობა მივიღეთ ცნობილი ბობი ორის საწვრთნელ სამუშაოზე საზეიმო გაცილებაში. მაყურებელი ოვაციით შეხვდა იმ ამბავს, რომ „ბოსტონელი დათვის“ ცნობილ მოთამაშეს ჩვენებური ოლიმპიური დათუნია გადავეცით.

თამაშის შემდეგ ჩვენთან მოვიდა აშშ-ს სენატორი ედვარდ კენედი. მან გუნდს მიულოცა შესანიშნავი თამაში და გამოთქვა სურვილი, რომ განმტკიცდეს საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა კავშირი.

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელები კმაყოფილნი დარჩნენ „კრილია სოვეტოვის“ თამაშის მაღალი კლასით.

# შარშანდელი აუტსაიდერის აღმაფრენა

**რიგა.** სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა „სპრინტერული“ ჩემპიონატი, სადაც გუნდები მხოლოდ ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს, ძალზე მწვავე ბრძოლებით გამოირჩევა. ბევრ შეხვედრაში ერთქულიანი სხვაობა აღინიშნა. როგორც ჩანს, კალათბურთელები, ცოტა არ იყოს, დაიღალნენ. დღეს ის გუნდები, რომლებიც სატურნირო ცხრილის სათავეში არიან, აუტსაიდერთაგან მედგარ წინააღმდეგობებს აღარ ხვდებიან.

მეათე ტურში ცსკა-ს კალათბურთელებმა წარმატების მცირედი შანსიც კი არ დაუტოვეს კაუნასის „ჟალგირისს“ — 124:97 (65:45). დედაქალაქის დინამოელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ვლადივოსტოკის „სპარტაკი“ — 130:69 (64:35).

კიევის გუნდების — „სტროიტელისა“ და ასკ-ის შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით — 102:89 (54:41). ტალინის „კალევმა“ დაამარცხა მინსკის რტი — 96:86 (52:48).

ლენინგრადის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა — 86:77 (47:39), ხოლო ვილნიუსის „სტატიბამ“ დაამარცხა რიგის ვეფ-ი — 109:102 (58:42).

მეთერთმეტე ტურში შეხვედრები ასე დამთავრდა: „სტატიბა“ — „კალევი“ — 94:81 (46:47), ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 85:73 (39:33), „ჟალგირისი“ — „დინამო“ (თბილისი) — 93:92 (51:56), ასკ — „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) — 115:98 (52:49), „დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“ — 107:106 (67:59), ვეფ-ი — რტი — 100:97 (56:42).

პირველი წრის თერთმეტი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში არიან „სტატიბა“ და ცსკა, რომლებმაც 10-10 გამარჯვება მოიპოვეს. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთა ლიდერობა არავის უკვირს, მაგრამ ფრიად საოცარია „სტატიბას“ აღმაფრენა, რომელიც მიმდინარე პირველობის მთავარი სენსაციის ავტორია.

მოსკოველ დინამოელთა გადადებული თამაშები თბილისელ თანაკლუბელებთან და რიგის ვეფ-თან გაიმართება დღეს და ხვალ რიგაში.

მეორე წრის შეხვედრები ვილნიუსსა და ლენინგრადში ერთი კვირის შემდეგ დაიწყება.

პირველი წრის შემდეგ (მოსკოვის „დინამოს“ მონაწილეობით გადატანილი თამაშების ჩაუთვლელად) სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: I-II — „სტატიბა“ (ვილნიუსი) და ცსკა — 10-10 მოგება, III — „სტროიტელი“ (კიევი) — 7, IV — „დინამო“ (მოსკოვი) — 6, V-VII „დინამო“ (თბილისი), ასკ (კიევი) და „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 5-5, VIII-X — „კალევი“ (ტალინი), „ჟალგირისი“ (კაუნასი), ვეფ-ი (რიგა) — 4-4, XI — რტი (მინსკი) 3, — XII — „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) — 0.

## ლიდერთა სიმჭიდროვე

### ჰასტინგსსა...,

ჰასტინგსის საშობაო საერთაშორისო ტურნირში 12 ტურის შემდეგ ლიდერობს შვედი უ. ანდერსონი — 8 ქულა. XII ტურში მან სძლია კანადელ ბაიასას, წინადღით გადადებული პარტიის დამთავრებისას — ამერიკელ ლ. ქრისტიანსენს.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა, ლიდერთა ჯგუფში კი დიდი სიმჭიდროვეა და ყოველ ტურს შეუძლია არსებითი ცვლილებების შეტანა. ქრისტიანსენს 7,5 ქულა აქვს, უნგრელ ი. ჩომს და ინგლისელ ჯ. სპილმენს — 7-7, ბაიასასსა და ა. კოჩიევს (სსრ კავშირი) — 6,5-6,5. ე. ვასიუკოვსაც (სსრ კავშირი) შეუძლია ბრძოლა I ადგილისთვის. მას 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

### ...და ვარშავაში

ვარშავაში ვაჟთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში გათამაშდა სამი ტური. დაწინაურდნენ ზ. რიბლი — 2,5 ქულა, ა. ადორიანი, დ. საქსი (სამივე — უნგრეთი) და ე. ერმენკოვი (ბულგარეთი) — 2-2.

**ჭადრაკი**

## მესხის ენერგიული წინსვლა

**დაუგავპილსი, 12 იანვარი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატები გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. ტურნირებში ხუთ-ხუთი ტურია გათამაშებული.

გოგონათა შეჯიბრების III ტურში ც. ქასოშვილმა (გორი) მოუგო ა. ტილენბაევას (ყირგიზეთი), ნ. მელაშვილმა (თბილისი) — ა. პეტროვას (ყაზახეთი), თ. მესხმა (ქუთაისი) — ე. ტიტოვას (უკრაინა). IV ტურში მესხმა სძლია ე. შუხმანს (ბელორუსია), მელაშვილი დამარცხდა ნ. სიტნიკოვასთან (ლენინგრადი), ხოლო ქასოშვილი — ტიტოვასთან.

## ორი ლიდერი

**ხელბურთელ** ქალთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში „ჟალგირისმა“ (კაუნასი) 10 იანვარს შინ მოუგო „მეტალურგს“ (ბროვარი) — 17:13 (8:7), ხოლო ზაპოროჟიეს ზიი-მ — კიევის „დინამოს“ — 29:20 (16:7). კიევის „ავტომობილისტისა“ და როსტოვის „როსტსელმაშის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 18:18 (9:6).

კალინინგრადის ქვეჯგუფში შეხვედრები ასე დამთავრდა: „იიუდი“ (ტალინი) — „ეგლე“ (ვილნიუსი) — 25:17 (13:7), „სპარტაკი“ (კიევი) — უპი (სვერდლოვსკი) 32:15 (19:8), ფსტ (ბაქო) — „ლუჩი“ (მოსკოვი) — 19:14 (11:3).

საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში არიან კიევის „სპარტაკის“ და კაუნასის „ჟალგირისის“ გუნდები, რომლებმაც ქულათა მაქსიმუმი 10-10 მოაგროვეს. შემდეგ მოდიან: ფსტ, „ლუჩი“, „როსტსელმაში“ — 6-6 ქულა, „ავტომობილისტი“ — 5, ზიი, უპი, „მეტალურგი“, „იიუდი“ — 4-4, „დინამო“ — 1, „ეგლე“ — 0.

24-30 იანვარს ვილნიუსში თორმეტივე გუნდის მონაწილეობით დამთავრდება სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრე.

## ოთხი ტრამპლინის ტრადიციული

**ტრადიციული** საახალწლო „ოთხი ტრამპლინის ტურნეს“ მეოთხე ეტაპის შეჯიბრება ავსტრიაში, ბიშოფსჰოფენში გაიმართა. აქაც ყველას აჯობა ფინელმა პ. კოკონენმა, რომელმაც 237,5 ქულა მოაგროვა (ნახტომები — 99 და 106,5 მ.). II და III ადგილები დაიკავეს ნორვეგიელმა ი. სეტრემ — 236,9 (103,5 და 100,5) და პოლონელმა პ. ფიიასმა — 236,0 (ორივეჯერ — 104 მ). საბჭოთა სპორტსმენებმა ი. ივანოვმა და ს. საიჩიკმა შესაბამისად მე-20 და 25-ე ადგილები დაიკავეს.

ამით დამთავრდა „ოთხი ტრამპლინის ტურნე“. ყველა ეტაპის ჯამში პირველობა მოიგო კოკონენმა, რომელსაც 815,6 ქულა დაუგროვდა. მომდევნო ადგილებზე არიან ჰ. ზუმი (შვეიცარია) — 782,6 ქულა (იგი ბიშოფსჰოფენში IV იყო) და ი. დანებერგი (გდრ) — 765,4. საბჭოთა სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა ივანოვი, რომელმაც 21-ე ადგილი დაიკავა — 685,3 ქულა.

შემდეგ ვიორგლში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ი. ივანოვმა უკეთ იასპარეზა. ავსტრიის ამ სოფელში მან მეორე ადგილი მოიპოვა — 236,7 ქულა. ივანოვს აჯობა იაპონელმა ს. პურგუმ, რომელიც 77,5-სა და 81 მეტრზე გადახტა და 242,5 ქულა მოაგროვა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის,
**გიორგი პლატონის ძე იაშვილის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.